ჩალა თქმა უნდა მე ამით შეერთების წინააღმდეგი არ ვარ და შეერთების სურვილი ამ ერთი წლის წინათ ბეჭდვითაც გამოვაცხადე, რაც ბ-ნ გენძეხაძემაც კარგათ რცის. მე მაღალპარაკებს მხოლოდ ბ-ნი გ—ძის წერილის შეუსაბამობა და უადგილობა. რათ არ უფროდებდა ჩვენს ამხანაგობა „ახალ მკითხველს“, ამისი საბუთი აქვს ამხანაგობას (ეს საბუთი ადგილობრივია და არა „ახალ მკითხველთან“ დამოკიდებული) ეს ბ-ნ გენძეხაძემაც უნდა იცოდეს და, იმედია, ბ-ნი ჯალაოძემაც აუხსნის (ბ-ნი ჯალაოძის თხოვნისამებრ. იხილეთ კვლავ № 38. შესაერთებელი ამხანაგობანი). როგორც ბან გე—ძის აგრეთვე მკითხველ საზოგადოებასაც.

ბ-ნი დლოძე ყოველთვის თავზე ათათ შაურს გენძეხაძის და წიგნებს კი ვერ ვეღირსებო — წუწუწუნებს ბ-ნი გენძეხაძე. თქვენ პირს შეპაჩი, რომ ეს მართალი იყოს; მაგრამ ვაი, რომ ტყუილია. ამხანაგობა არსებობს ავტო თვრამეტრ თვე იქნება; ჩივირა წევრათ ოც კაცზე მეტი; სამს აქვს შემოტანილი სრულთ თითო წლის და დანარჩენს არა უმეტეს ორი თვისა (თეთი ბ-ნ მოწუწუნესაც მხოლოდ ორი თვის აქვს შემოტანილი) სამართლით უნდა იყოს მოგროვილი ოც თუმანზე მეტი და ნამდვილათ კი ოთხი თუმანი ძლიერს არის. აი ბ-ნო, იმის მაგიერათ რომ დახმარება აღმოუჩინათ ჯერ კიდევ ფეხ აუღმგელ ამხანაგობას, გამომდგარხართ და უკიციანებთ არაფერი დაბეჭდეს.

რა უნდა დაიბეჭდოს ამ ბედკარული ორა გროზით? ან კი შეიძლება ასე მკირე თანხით დაწყოს ამხანაგობამ ბეჭდვა წიგნებისა? ან და „ახალ მკითხველს“ ბეგრათ წავსწევთ წინ ამ ორი გროზით? ან და „ახალი მკითხველი“ ახლა კი არ გვაწვდის სასიამოვნო საკითხავ წიგნებს? (ბ-ნ გ—ძის აზრით, ახალ მკითხველს შეეძლება მოგეწოდოს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი წიგნები მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ შევეუერთდებით მას. (იხილეთ კვალი № 32. წერილი საღ. ვანჯღან) წაიკითხეთ ბ-ნო ახალი მკითხველის მიერ გამოცემული რუბაკინის ორი ეტოული და სხვანი და დარწმუნდებით რომ ეს პატრუცემული ამხანაგობა უჩვენოთაც კარგ წიგნებსა სძლენის ჩვენ საზოგადოებას. ერთი სიტყვით პატარა წერილი ბ-ნი გენძეხაძისა რომ დაწერილებით გვაზრჩიოთ, ძრიელ შორს წავგიყვანს და, იმედია, ესეც კმარა, რომ მკითხველი მიხედვს საქმის ვარემოებას.


ს. დლოძე.

იალქინანი აბლაბუდა.



გულამ კარგათ იცის, რომ ობობას ქსელს აკეთებს, რომელიმე გავების სოფელში მწერს, და იმით იკვებება ობობას. ის ვიან, რომ ყველა ობობას რომელიმე ბუკონი გვარის მიწაში ცხოვრობს. ასეთი ობობანი მხოლოდ საცხოვრებელ ბინას იკეთებენ მიწაზე გამხმარ ფოთლებთან ან მიწაში ამოთხრილ სურბელში. ორივე შემთხვევაში ობობას ბინას გამოუყენებს თავის ქსელს და იმით ბინას რბილი და თბილიც ხდება. ასეთი ობობანი სხვრდოს მტაცებლობით შოულობენ. ზოგი მთაცანი ფეხ-მარჯა და სწრაფთ მსკუნაჯი. გარდა ამის ისინი მტაცებელი იკვებებიან, ამიტომ არც ისეთი ფეხ-მარჯაბა სწრაფით, რომ მტელი დაჰქონონ და თავი გამოიკვებონ.

სოფლ უფრო მკით ნაწილი ობობას ვაგნთ გარდა ბინის იკეთებს მწერის საჭერ აბლაბუდას. უკვლედა ყველა ვაგნი ერთგვარით და ერთხანით ვერ ქსოვს თავს.



ვის ქსოვილს, აბლაბუდას. ამიტომ აბლაბუდა ბუკონი და ბუკონი. ეგვიპტის აბლაბუდას აწერის: თვისა აქ ამ ვამთ არც ადგილია და არც დრო. ამიტომ ავწეროთ მხოლოდ

იალქინანი აბლაბუდა.

ასე წოდებული იალქნინი ახლბუდა, რომლის მოქსოვა ფრიად რთული და სამკლავია. ასეთ ახლბუდას შუა გულზე გასწვრივ მოთავსებული აქვს იალქნის წებოდან ამოხსნილი, ქვემოდან კი შეზნეილი. იალქნიდან აღმართული გატარებულია ძაგები, რომელთა სპეციალური თვით იალქანი და მთელი ახლბუდაც მიკრული და მიმარტულია სეზე, ან ქაბზე, ან ალახზე. ამ გარდა რომ მოამზადებს ქსოვილს ობობა, მერმე თვით იალქანზე იწყებს სიარულს, რათა იალქანი უფრო სქელი და მტკიცე ქსოვილი გამოიღოს. ამას შემდეგ იალქნის ქვემოდან თავ შესაფარს გაიკეთებს და იქ იწყებს უზრუნველას. ყოველი ძაგი ახლბუდასი იმ სერხითა და მოსახრებით არის გატარებული, რომ ყოველი სულ მცირე მოძრაობა კი ადვილით და სისწრაფით გადაეცეს გრძელად იღობს. მთელი მთელი ახლბუდასი სიგრძეზე შეიარება თუ არა ქსოვილი, რათა თავის თავ-შესაფარისაგან გამოადის და მიკრულია ქსოვილი გამოეღოს მწერს, რომელსაც გამოაწერს. თუ ქაბმა, ან მწერმა, ან რამეა შემთხვევით ქსოვილს ძაგი სადმე გაწვიტა, ობობა მშინვე შეკეთებს მას. საქსოვ მასდას ობობა თავისივე სხეულში ამხადებს, ასე წოდებულ საბოლოოდ ღერილაში. საბოლოოდ დგრილა მუცელზეა მოთავსებული და რიგით რამდენიმეა. როცა ობობა გლანტებს ჩაუჭერს დგრილას, იქიდან გამოაქვსავე მწეავე სითხე, რომელიც ჭარბე შრება და მკრდება, და ამნაირთ ახლბუდასი ძაგს იალქა.

ხელს მოკვიდება, შეკუდავი და შევიქნ ნულა, წუნა...

რაც უნდა ქება, რაც დამბროთა, სიბრწყინილია შინთვის, თვარს, გაბრალები, რა ღონა, ეს ბუნებამ დაამყარა!..


კრახს განმრედი, ჩემო ბელო, ან მუწეო წარა-მარა!..

ფუ; შერცხუნა და თავს ლაფი, ვინც მე შენ თავს გადამყარა!..

ან ვიტყვებ, ჩემო ბელო, ან ვიტყვებ არა, არა!..


ჩემი საქმე სამუდამოთ ანც გამქრალა, ანც წამდარა!..

ფანდი.



მგზავრის შენიშვნები.

(ეჭო მ ა შ ი) *



ვ ი ტ ი რ ი



რ ვიტყვებ, ჩემო ბელო, ან ვიტყვებ არა, არა!.. ჩემი საქმე სამუდამოთ ანც გამქრალა, ანც წამდარა!..

ან მუწევი, ჩემი მტრე...
ტკბილ ცხოვრებას ან მაქვს, მარტულს იქიდა ან მიქრება და ნუგეშით ესერ გამარა!..

ნუ, ნუ ფიქრობ დამიძონო და გამტეხო ასე ჩქარა!.. გული ჩემი კლდა სალი, ან აშინებს მას მუქარა!..

რაც მკლავი, თვით მე ვინც, მტრამს, რაც ვარ, ის ან გამარა!..



სეთი მაგალითები მოგზაურთა სხვადასხვა ხალხების ცხოვრების აღწერილობაში მრავალთ მრავალი მოიპოვება და ყველა ესენი იმის მაჩვენებელია, რომ ძველთ სტუმართმოყვარეობა ძალიან გავრცელებული ყოფილა და ხალაუ ვაერცულეზულია იმ ხალხთა შორის, რომელნიც განათლება-განვითარების მხრით უკან ჩამორჩენილი არიან. არა თუ მართო სტუმართმოყვარეობა, არამედ ბევრი სხვა სიმპატიური მხარეებიც, როგორც არის: მოყვასის სიყვარული, მეგობრობა, ამხანაგისთვის თვის დადება, შებრალება, დახმარება და სხვ. ასეთ ხალხებში ძალიან იყო და არის განვითარებული, ასე რომ ჩვენი დროს ესრეთ წოდებული ქველ-მოქმედება სრულიად განათლების“ გამოკონილი არაა...
რასაკვირველია, ამას დამტკიცება არ უნდა, რომ სტუმართ მოყვარეობა, საზოგადოთ, სტუმრის მღება და პატივის ცემა მეტათ სიმპატიური თვისებაა. ევროპიელსაც, თუმცა იგი პრაქტიკულათ, თავის ცხოვრებაში სტუმრობის წინააღმდეგია, თეორიულათ მინც სტუმართმოყვარეობა საქმეზრ თვისებათ მიანიხა...

*) იხ. „ქველი“, № 39.

მაგრამ აქ რალაც გაუგებარია, რალაც არეულია...
 ეგროზა ხომ განათლებული ქვეყანაა, იქ ცხოვრება
 წინ, ძალიან წინაა წასული; ეგროზა მაგალითია სხვა
 ქვეყნებისათვის. ეს ყველა კარგი. მაგრამ ეს როგორ
 მოხდა, რომ სტუმართ-მოყვარეობა, თუ იგი კარგი,
 საქმური თვისებაა, სწორეთ ეგროპაში, ამ განათლე-
 ბულ-გაბრწყინებულ ქვეყანაში ჩამქარა და და-
 ჩრჩენილა ისეთ ქვეყნებში, რომელთ ცხოვრების გან-
 ვითარება ეგროპასთან შედარებით გაცილებით უკა-
 ნა ჩამორჩენილი? გამოდის, რომ პრაქტისი არ ნი-
 შნავს ყოველი მხრით წინ სელას... რკინის გზა,
 ელექტრონი, ტელეგრაფი, ქარხნები, ფაბრიკები, მან-
 ქანები—ეს პროგრესია, მაგრამ სტუმართ-მოყვარეო-
 ბის, ვითარცა „სიმაჰტური თვისების“, ჩაქრობა კი
 —რეგრესია, უკამ სელა... როგორ მოხდა ეს? აე-
 ხსნათ.

II.

რომ ეს კითხვა სასებით აეხსნათ და შეეიგ-
 ნოთ, ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ის სა-
 ფუძველი, ის მიზეზები რომლებსაც უნდა გამოეწვია
 თავდაპირველათ სტუმართ-მოყვარეობის წარმოდგომა
 და განვითარება.

ასეთ საფუძველათ მეცნიერებს ძველი დროის
 წარმოების წეს-რიგი მიაჩნია. იმ დროს, რომელზედაც
 ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს, საწარმოებო იარაღი იმდენ-
 ნათ განუვითარებელია, არ „შეუძლია ცხოვრების-
 თვის საჭირო მასალების მოპოება. ბუნება სასტიკია,
 ხოლო ადამიანის ძალა კი სუსტი. საჭიროა ძალითა
 შეერთება და საერთო ძალით ბრძოლა. ამიტომ ადა-
 მიანთა განვითარების პირველ საფეხურზე ჩვენ ვხე-
 დეთ სრულს კომუნისმს (ერთობას) წარმოებაში;
 ნადირობაში თუ თევზაობაში საზოგადოების ყველა
 წევრნი თანასწორად იღებენ მონაწილეობას. რა თქმა
 უნდა, როცა მეცეთან მიპარვის დროს დღი სიფრ-
 თხილვე და მოფიქრება საჭიროა, იქ ყველა ვერ მი-
 იღებს მონაწილეობას, არამედ რამდენიმე უფრო გა-
 მოცდილი და საქმის მკოდენი. მარა სამაგეროთ
 სხვები ამ დროს ტყის გარეშეშეა დაწან დაჩაჯებით
 და გამოდენილ ნადირს უთვალთვლებენ. როცა ნა-
 დირობა დასრულდება, ნაადირივე ყველა მონაწი-
 ლეთ შორის იყოფა და თითოეულს თვისი წილი
 უწევს, ასე რომ როგორც წარმოებას საზოგადოებრი-
 ვი მასიათისა, ისევე ნაწარმოების, ნადელოარის გა-
 ნაწილებაც ამ გვარად. აქ არ არსებობს წინააღმდე-
 გობა, განხეთქილება წარმოებისა და ნაწარმოების
 განაწილების ფორმათა შუა, ე. ი. რაბან ყველა ამ-
 გვართ იღებს მონაწილეობას წარმოებაში, ისევე

ყველა თანასწორათ სარგებლობს ნაწარმოებით. აქ
 მეტ-ნაკლებობა, დიდ-პატარაობა, შენ ჩემობა არ არ-
 სებობს. ადამიანები ერთათ მუშაობენ, ერთათ სჭამენ
 და სმენ, ერთათ დადიან, ერთათ მხიარულობენ, ერ-
 თათ იბრძვიან, ერთათ სარგებლობენ მოპოებული
 ქონებით. აქ ერთი განცალკევებული ადამიანი არა-
 ფერს არ ნიშნავს და არც შეუძლია მას განცალკე-
 ვებულთ ცხოვრება. ის მხოლოთ მაშინ არის უში-
 შრათ, როცა ამხანაგებშია, როცა საერთო ჭირსა და
 აღნიშნო მონაწილეობას იღებს. აქ მნიშვნელობა აქვს
 მხოლოთ მთელ საზოგადოებას, მთელ გროვას, ამ
 დროის ადამიანი თავის ამხანაგთან განშორებას ისე
 უფრთხის, როგორც სიკვდილს. ევლურისთვის საკუ-
 თარი საზოგადოებიდან გავდება სიკვდილს ნიშნავს,
 რადგან მას საზოგადოების გარეთ ცხოვრება არ შე-
 უძლია. ეს ისეთი სასტიკი სასჯელია, რომ ღმერთმა
 ძმის მკვლელს კანის უბრძანა მხოლოთ თავის სო-
 ფელს მოწარმებოდა, აგარეთვე დიდს მკვლელს
 ორესტს ესევე სასჯელი გადუწყვიტეს. „თავისიანე-
 ბიდან განდევნილს,—ამბობა პოეტო თეოგნისი,—არ
 ჰყავს ერთგული ამხანაგი და მეგობარნი და ამიტომ
 ასეთ განუღწავზე უფრო საშინელი სასჯელი არა
 არისრა ქვეყანაზეო“.

ასე მჭიდროთაა შეკავშირებული ევლური ადა-
 მიანი თავის საზოგადოებასთან. ამიტომ აქ ყველანი,
 ასე ვთქვათ, ერთ ეროსულს, ერთ პიროვნებას შეა-
 დგენენ. ერთ წევრი თავის თავს მეორისგან ვერ არ-
 ჩეებს. ვერ აცალკევებს, არამედ მასთან ერთათ, განუ-
 შორებლათ უნდა წარმოიღვინოს ხოლმე. ვთქვათ,
 ერთი საზოგადოების წევრმა ანდო მეორე საზოგა-
 დოების წევრს რაიმე ნიეთ: ნისიათ და დანიშნულ
 დროზე მიიდეგმა აღთქმული ფასი ვერ გაღებდა.
 მოვალეს უფლება აქვს მოსთხოვოს ვალი არა თუ
 მართო იმას, ვისაც მან ნიეთ მიჰყდა, არამედ ყვე-
 ლა მის თანამომეგებს. მისი წარმოდგენით მთელი
 საზოგადოება ვალდებულია ასეთი ვალი გადაიხადოს.
 ან, ვთქვათ, ერთმა გინმემ შეკლანა საერო ღმერთის
 კერპი; ამ შემთხვევაში ღვთის რისხვას ელოდება არა
 მარტო დამნაშავე, არამედ მთელი საზოგადოება. აქ
 კერძო პირის დანაშაულობა მთელი საზოგადოების და-
 ნაშაულობაა, როგორათაც მთელი საზოგადოების კუ-
 თენილება ყველაფერი, რასაც კი თითოეული წევრი
 მოიაზრებს და შეიმუშავებს.

ეგრძო საკუთრებაზე ამ დროის კაცს წარმო-
 გენა სრულიად არა აქვს. „ინდიელთა ძმური ურთი-
 ერთობაო,—ამბობს იესუიტო შარლეუა,—უძველთა
 იქიდან წარმოდგება, რომ მათ არ იციან თუ რა არის
 ჩუმი და შენა,—ეს, იოანე ოქროპირის სიტყვით, გა-
 ყინული სიტყვებო. ის დაშარება, ის ზრუნვა, რო-

მელსაც ისინი უწევენ ობლებს, ქერიებს, უძღუტო, სტუმართ პატივისცემა, ყველა ეს იმის შედეგია, რომ ყველაფერს, რაც მათ აქვთ, ისინი საერთო კუთვნილებათ სთვლიანო... ამსჯელ იმეორებს მეორე მოგზაური ლაოტანი: „ველურებმა არ იცინაო, — ამბობს ის, — თუ რას ჰქვია შენი და ჩემი, რადგან რაც ერთს ეკუთვნის, ის იმავე დროს მეორეს კუთვნილებაც არის. საზოგადოთ მათ არ იციან ავრტოვე ფულის ხმარება და თუ ხმარობენ ფულს, მხოლოთ ისინი, რომელნიც ჩვენს ქალაქებთან ახლოს ცხოვრობენ და ვაჭარსტანიებული არიანო. დანარჩენთ ფულის დანახვაც კი ვხარებათ. ფულს ისინი ფრანგების გველს (serpent des français) ეძახიან. იმათ საცერკლოთ მიხანიათ, რომ ქონება ზოგს მეტი ჰქონდეს და ზოგს ნაკლები და ვინც უფრო მდიდარია, იმას რომ მეტს პატეს ცემდენ, ვინემ ღარიბს, ...“... მართალია, იმათში არ მოიპოვებან მდიდრები, მარა აგრეთვე არც ღარიბნიო, ამბობს ევზენბერკი. ავთმყოფთ მოხელეთ, უსინთლოთ, დავრდამილთ ყოველთის შეუძლიათ მათში სახლი, სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი მოიპოვონ, როცა ეს მათ ესაჭიროებათ. თუ დაუკვირდებით კანაქლებს, იმათ ქონებას, დაინახათ, რომ ყველაფერი, რაც კი მათ გაჩნიათ, ბევრათ ნაკლებია იმაზე, რაც ჩვენში სულ ღარიბთ კაცის საკუთრებას შეადგენს; მარა, მიუხედავთ ამისა, რომის მცხოვრებმა არ იცის, თუ რა არის სიღარიბე: ეს შემეცნება მისთვის სრულიად უცხოა. მას არც კი შეუძლია წარმოიდგინოს, რომ სადმე ქვეყანაზე არიან ღარიბნი, რომლებსაც არ აქვთ სახლი, საჭმელი, ტანისამოსი... „როგორ შეიძლ ა ესო? ამბობს ის: თვითოეული ხომ სადმე დაბადებულა, მამასადამე მას ჰყავს მეგობრები, მას აქვს სამშობლო: რატომ ეს მეგობრები არ წაიყვანენ მას თავის სახლში და არ მისცემენ საჭმელ-სასმელს და ტანისამოსს?! ნუ თუ მათ არა აქვთ ერთმანერთის სიყვარულიო?!“

როგორც ვთქვით, ძველი დროის კომმუნელი ყველაფერს იყოფს თავის ამხანაგებთან ერთათ: ჭირს, ლხინს, ქონებას... დარჩენი მოგვითხრობს თავის მოგზაურობის აღწერილობაში ერთ ფუტეგელზე, „ველურზე“, რომელმაც ერთი საჩუქრათ მიღებული საბანი დაპლოჯა რ თავის ამხანაგებს დაურია... „მეულის უბრალო ნაჭერსაც კი ჰგლეჯენ და იყოფენ ერთმანერთში თანასწორათო“, ამბობს იგივე დარჩენი. კლუზაქის სიტყვით, „როგორც სადილი, აგრეთვე ყველაფერი საშხადისი, რაც კი მოიპოვება ესკომოსების სოფელში, საზოგადო კუთვნილებას შეადგენს. სანამდის საწოვავ არ გამოღვევიათ და უკანასკნელი ხორცის ნაჭერი მოგოვებათ, მანამდის ყველას აქვს მათში თავის წილის მარების უფლება და

განაწილების დროს ყველანი მიიღებიან ხალმე სახეში, განსაკუთრებით უშვილო ქერიები და ავთ-მყოფნი“...

ასე დიღირა პირველ ყოფილ კომმუნის წევრთ-შორის საზოგადოებრივი გრძნობა და კავშირი. მხოლოდ, მეგობრობა, ერთი მეორის დახმარება, შებრალებ-ბა, თანასწორობა — აი ამ ძველებურ კომმუნისტურ წეს წყობილებაშია დაბადებული. რომელიმე ველური „ბოშიშანელი თუ მდინარის პირათ უტყავდათ მექლარ ეეშას წააწყდა, თუნდა რომ შიშ-ლოთაც ჰყვედობდეს, ხელს არ ახლებს, იგი წაუთ თავის ამხანაგებთან, ნაპოვნს გააგებიებს, შემდეგ ყველანი მოიყრიან თავსა და საჭმელს ერთათ შეეკცევიან... თავის ამხანაგებს კომმუნელი არ უღალატებს, რომ თავის თავი დახსნას შიშშილისგან ან საზოგადოთ ვასაჭირიდან. დარჩენი მოგვითხრობს ასეთ ამბავს სამს ინდიელზე. ჩხუბს დროს ინდიელებმა გაუგზავნეს არაგუტინის (მეორესი) რესპუბლიკ-ს მპართელს სამი მოკაქული მოსალაპარაკებლოთ. მპართელმა სამივე დაუჭრა და უნდოდა მათგან მოჩხუბრა ინდიელების შესახებ ცნობები გამოეტყუა, მაგრამ მათგან ამავთ ცივი უარი მიიღო. გაჯავრებულმა მპართელმა ბრძანა — დაეხრითათ, დააყენეს ერთათ სამივე, თოფები დაუმიზნეს და უთხრეს, თუ ჩვენ კითხვებ ჰასუნს არ მოგეკმთ და არ გვეტყობთ საი-დუმლოს, დაიხრითათო. ორმა უარი თქვა, — „არ ვიცითო“ და დაპირტეს. შემდეგ მესამემაც მიუყო: „არ ვიცით“ და დაუმატა: „მესროლით! მე ვაქაკი ვარ და შემძლია საქებურათ მოგვედო!“ ასე და ამეკრათ არც ერთმა მათგანმა არ გასცა თავისიანები.

ამ ძველ დროს ეკუთვნის სტუმართ-მოყვარეობის გრძნობის წარმოადგომაც. თუ ჩვენ დროში სტუმართ-მოყვარეობა მხოლოთ „კარგ რამეთ, საქებურთ თუ სომხატურთ თვისებათა მიჩნეული, მაშინ წინააღმდეგ, ეს წვეულებრივი, უბრალო მოგლენას შეადგენდა და მეტ არაფერი. ასეთი ჩვეულება მაშინ თვით მატერიალურ, ცხოვრებაში არსებულ პირობებ-ბიდან გამომდინარეობდა. ინდიელს სწამს, რომ ღმერთმა ქვეყანა ყველას სასარგებლოთ გაჩინა და რაც რომ ქვეყანაზეა, ყველას საერთოთ უნდა ეკუთვნო-დეს; როცა ღმერთმა დედა მიწა დაასახლა და ტყე-ში ნადირი გაამრავლა, — ეს არა ერთის ან ორის სა-სარგებლოთ, არამედ საერთოთ, ყველას საბედნიეროთ მოიპოქედა. მართალიაო, სჯის ის, მე მოგ-ჰკალ ნადირი, მე მოვიტანე სახლში, მარა ის ნადირი, სანამ მე მოვეკლავდი, საერთო ტყეში იხრდებოდა; ის სიმინდი, რომელიც მე დავთესე, საერთო მიწაზე აღმოცენდა. მამასადამე, ყველა ეს საკუთრათ

მე არ მეკუთვინის, აზამედ საერთოა. სტუმარიც „სა-
ერთოს“, საზოგადოების რიცხვში ურევია და ამი-
ტომ ჩემი მონაჯართ მასაც შეუძლია სარგებლობა...
ასეთი შეხედულება დრო და ქამის განმავლობაში
თან-და თან გაუფართოვდა და თუ წინეთ საკუთარი
სოფლის, საკუთარ საზოგადოებაში მცხოვრებ სტუ-
მარს ერგებოდა ოჯახში მიღება და პატვის ცემა,
შემდეგ ყველა ეს სხვა საზოგადოებიდან, შორიდან
მოსულ სტუმარზედაც გავდიდა და გავრცულდა..

ბევრმა დრომ გაიარა, ბევრი ხალხი განვითარების
გზაზე წინ წავიდა, ძველებური კომუნისტური წეს-
წყობილება მიიშალა, მის მაგიერ საზოგადოებრივი
ცხოვრების სხვა ფორმები წარმოისდგა და განვითარ-
და, მარა ძველებური სტუმართ-მოყვარეობა კიდევ
დიდ ხანს ცოცხლობდა ადამიანის გონებაში და ჩვე-
ულებში, რადგან საზოგადოთ ერთხელ შეთვისებუ-
ლი, შეჩვეული იდეები და წარმოდგენანი მათი რეა-
ლური საფუძვლის დანგრევის და გაქრობის შემდეგ-
გაც რჩებიან ადამიანის გონებაში...


მაგალითათ, ჩვენ ქართველები, კომუნისტური
წეს-წყობილებას დიდი ხანია გამოეცილებივართ, მარა
სტუმართ-მოყვარეობა ასე თუ ისე ჩვენში კიდევ
არსებობს, თუმცა ძველებურთან შედარებით ძალ-
ან სუსტათ ზ მიღებულიათ: რაც დრო მიდის, თან-და თან
ჩვენც ეტოვებით ამ ჩვეულებას. ახლა ისე ძველებუ-
რათ აღარ ვეკიდებით მხარში სტუმარს, „არ ვაგ-
ლეჯთ კალთებს“, დიდ ხანს აღარ ემეცნებ-ვემუდარ-
ებით „შენი ჭირიმი, მოგვიცადე, პატრიე გვეცი,
რაც ლეთის და ბატონის წყალობა გვაქვს, მივირო-
თეთ ერთათ და ემიზიარულოთო“... ან თუ ხან-
დისხან ემეცნებით, დეპატივებით, ეს მხოლოთ შესა-
ხედათ, „ვალს ეიხლით“, და სტუმარმაც კარგათ უნდა
იცილდეს, რომ ყველა ეს მხოლოთ მოკონილა, ფა-
რისევედლორა და თუ წაეა და მოგვემარდება, ძალიან
მოხარულნიც ეიქნებით... თეთ ჩვენი ცხოვრება შე-
სამნივთათ იცილებდა და ამის შესაფერათ ჩვეულებაც
უნდა შეიცვალოს... ამ სტრიქონების დამწერს ახსოვს,
რომ გურიაში ხშირათ მონადირე მის მიერ ნანადი-
რევიდან თავის მეზობლებს წილს, „მოსაკითხს“ გა-
უგზავნიდა. დღეს კი ამგვარი აღარა ხდება, მონა-
დირემ ათაც ველოური ღორი ან შევლი რომ მოჰკ-
ლას ტყეში, თავის მეზობლებს ერთ პოკოსაც არ
გაუგზავნის... ან და: ეინ არ იცის, ჩვენში ქორწილ-
ტორილზე უზომო ხარჯო იც-ან და ძველათ კდევ
მეტრ ცოდნე. განსაკუთრებით ტორილზე. ათახზე მეტრ
სული შეიარებოდა და მასპინძელი ყველას უნდა
გამასპინძლებოდა, ე. ი. მიერთმა კარგი საკმელი,
კარგი სასმელი, „სატირალიდან“ დაბრუნებული ხალ-
ხი უფრო ხშირათ იმაზე ლაპარაკობდა, თუ როგო-

რი „წაგება“ ე. ი. მავარი ხარჯი ჰქონდა მასპინძელს,
როგორ „გააბატონსა“ ქირისუფალმა მიცვალდუ-
ლი... თუ ეინმე სიღარიბის გამო კარგ ჰურმარი-
ლიანობას ეერ გამოჩინდა, იმაზე გაიძახოდენ მოხუ-
ცი დედაკაცები: „ფუი, უფო! ამას ჰქეია, უფხლი, ქი-
რის უფლობა! ღვირ არ უფარგოდო!“.. ახლა კი,
ახლა ამა უყურეთ რას იწერება გურული კორეს-
პონდენტი: „... ახლა-ხან იჩინა თავი მავალითმა, რო-
მელმაც ნათლათ დავემიტყეცა, რომ ხალხი გძნობს
ქელების მავნებლობას... ამას წინეთ აქ იყო შემ-
თხვევა: ერთმა ოჯახმა უარ ჰყო ტორილზე ჩვეუ-
ლებრივი ქელები. საზოგადოების თითქმის უმეტესმა
ნაწილმა სისხარულით მიიღო ეს მოველები, ჩვეულებ-
რივი პატრიე სცეს მიცვალბულს, სასაფლაომდის
მიაცილეს და შემდეგ სადილისთვის (გასევენება თერ-
თმეტ სათზე მოხდა) ყველა თაე-თავის სახლში დაბ-
რუნდა. („სენ-ბ. ფურც.“ № 217). ასეთი ამბავი
ჩვენში 20—30 წლის წინეთ ეერ მოხდებოდა.

მარა ახლა დაუბრუნდეთ ეერობას...

ფ. პატრიევილი.

(შემაღვი იქნება).



ბერძენის პარტიკლი.

შირვანზადესი

(დასასრული) *



აფხულის დამლევს სმბატამ ერთხელ ცივათ
გამოუცხადა დედას, ხეალ ან ზეგ გზას უნ-
და შეეუდგო.

- რომელ ქალაქში?.. ჰკითხა დედა.
- წერილის მიიღო რუსეთიდან, ანუ, იქნება,
სახლვარ ვაგევიდან.

რომისიმე პასუხი არ მისცა, ერთხელაც არ ამო-
ოხრა, სახეც კი არ შეცვლია. ამ რამდენიმე დღეში
იგი გამხდარიყო, თეალები ჩიღრმავებოდა, ფერი
მთლათ დაქაჯავდა... ჩუმთ და მორჩილთ ჩაღუ-
ნა თავი, შევიდა თავის ოთახში და მთელი დღე იქ
გაატარა.

მეორე დღეს საღამოზე სმბატა ჩვეულებრივზე ად-
რე დაბრუნდა შინ, უბრძანა ვასპარას შეეკრა მისი
ტანისამოსი და უთხრა, ხეალ საღამოს გზას უნდა
შეეუდგე. ეტლის ბილეთი კდევაც ავიღო.

*) ის. „კვლედი“ № 39.

— მერე ქალბატონი? — ჰკითხა გაკვირვებით მსახურმა.

— რაო ქალბატონი?

— ავთ არის.

— ავთ არის? — შეჰყვირა სმბატამ, რომელიც ამართ ცდლობდა არ აღუღებებოდა.

— მთელი დღეა წეხს; ეუთხარო, ქალბატონო, წავალ, სმბატას ეიპარე და ექიმს შევატყობინოთ მითქი, მაგრამ არა ჰქნა... წეხს და ტარის... იქ მიდისარო? დემთრო ვიწველით, არ უთხრათ, ვასპარამ ჩამე მითხრათქო, თუ არა გამოჯავრდება.

რომისმე მართლაც ავთ იყო, იწვა და მძიმეთი ოხრავდა ბნელ ოთახში.

— რა დაგმართა, დედა, ავთ ხარ? ბნელაში რათ დარწმუნობარ? — ჰკითხა სმბატამ.

მის ბძანებთ ვასპარამ შემოატანა ანთებული ღამა. რომისმეხს ჰარი კვლისკენ მიგბრუნებინა, თავზე შავი შალი მოეხვია; უსანბოთ იწვა, ხელში რაღაც ეჭრა.

სმბატა ფრთხილათ მიუახლოვდა.

— შემომხედ, დედა, მე ვარ...

მისი ხმა თრთოდა, თრთოვნი მისი ხელებიც შინისა და სინიდისს ქენჯნისავან. რომისმე საჩქაროთ, — რასაკვირველია, რამდენათაც ღონე შესწევდა, — წამოდგა და დაჯდა ლოგინზე.

— შენა ხარ? — წარმოთქვა მან; ეტყობოდა, გონზე მხოლოთ ახლა მოვიდა, — ეჰ, არაუერია, თავი მტკიოდა ცოტათი, ახლა გამიარა.

და რომისმეხს საჩქაროთ და ფარულათ ბალიშ ქვეშ რაღაც დამალა.

— რასა ჰმალავ, მიჩენენ... გამოაშვირა შეიღმა ხელი ჭ ბალიშ ქვეშ დან ახლათ დამალული საგანი გამოიღო; ეს მისი განსვენებული ძმებისა ჭ მამის ფოტოგრაფიული სურათი იყო. ყურადღებით დააჩერდა სურათს სმბატა, მოიგონა ის ბედნიერი დღეები, როდესაც ყველა ესენი ცოცხლები იყვნენ, მოიგონა მათი სიყვარული რომსიძესადმი... ახლა ისინი აღარ არიან და დედის ნუქების მცემლათ დღეს მხოლოთ სმბატა დარჩენილა. ნუ თუ მოვალე არ არი მამისა და ძმების მაკერათ უყვარდეს დედა და ისე შესწიროს მას თავი, როგორც დედამ შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე შეგლის სიყვარულს?

სმბატამ თვალმით ააღა დედას მიპაჟიო. როგორ გამოკვირილა საწყალი ამ ბოლოს დროს, დამკვიწრარა, გაყვითლებულა, თითქმის ჩონჩხათ გადაქცეულა. ერთ წამს იგრძნო გულში ღრმა შეილობრივი სიყვარული, რომელშიაც შებრალევა და თანაგრძნობაც ერია. მან გამოართვა დედას მარჯვენა ხელი, სიყვარულით მიიჭრა ტუჩებზე და აღუღებულ დი ხმით წარმოთქვა:

— მამატიე, ჩემო დედა, ვიცი რომ ჩემს გამოხარ აგრე სედიანათ, შენი ავადმყოფობის მიზეზი მარტო მე ვარ... მაგრამ აი, მე შენთან ვარ და არ... მოგმორადები... არა გჯერა?..

სმბატა შევირდა თავის ოთახში და მაშინვე უკან დაბრუნდა ნაყიდი გზის ბილეთით ხელში.

— აი ბილეთსა ეხვე! შენ თვალ წინ ეხვე და აღარ წავალ..

დედა ზეზე წამოხტა და ხელში ხელი სტაცა.

— არა, მოიცა, თუ გიყვარდე, ნუ ვახვე! ძალიან კარგი გიქნია, რომ ავიღია, წადი, ქვეყანა ნახე, გონება გაეცხსება... გესმის თუ არა? გეხვევები, რომ წახვიდე. ეჰ, მე სულელი დედაც ვი ვარ, არ მესმოდა, გეწინააღმდეგებოდა... ახლა არხინათ იყავი, უშენოთ გაეძღებ, როგორ არა, გაეძღებ!..

ქალი მტკიცეთ ღამააკობდა, დაფარული უკმაყოფილებაც კი არა იმდა მის ხმაში. სმბატა არ წმუნებდა, ახლა თითონაც აღარა მაქვს არც სწავლის გაგძღვლების სურვილა და არც ტფილისადან გარეთ გასულია, მაგრამ ძნელი იყო რომისმეს დაჯერება. იგი სულ ამას იმეორებდა: სმბატა, ძალიან მეწყინება, რომ არ წახვიდე, მე მსურს, რომ უსათუოთ წახვიდეო.

მეორე დღეს სმბატა დაემზადა წასასვლელათ; რომისმე მზიარულათ იყო. სმბატას თვალში დედა წინა საღამოზე ბეგრათ უფრო ჯანსაღათ და მზიარულათ ჩანდა. ის ყველაფერში შეველოდა სმბატას, ცდლობდა რაც შეიძლება მეტი ტანსაცმელი გაეტანებინა თან და აძალებდა, უსათუოთ წავილა თან სხვადასხვა ნაირი საქმელები გზისათვის.

სმბატა დიდი სიამაუვნებით ასრულებდა დედის სულ მცირე სურვილსაც კი. ისე გატაცებული იყო თავისი აწინდელი ცხოვრების განზრახვებით, რომ ვერც კი აღწევდა იმ ღრმა და გამოუთქმელ სიყვარულს, რომელსაც დედა ძალ დატანებულ მზიარულობით ჰუარავდა და რომელიც ხანდახან გამოიხატებოდა მის თვალებში, ანუ ხელების კანკალოში.

რომისმე შეიღისთვის დიდებული საღილა მოამზადებინა. იქ დაესწრენ მისი და, ბაძაშვილა და სხვა ნათესაებები, რომელნიც მასულიყენ სმბატას გზის დასალოკავათ. დედები სმბატასთან ამტყუნებდენ რომისმეს იმაში, რომ ის თავის ერთ-ერთ შეიღს უცხუ ქვეყანაში უშვებს, რომისმე სიცილთ და ხუმრობით უპასუხებდა, ტფილისში სმბატასთვის ღირსეული საცოლენ არ არისო, სხვა ქვეყანას მიდის ცოლის შესართავთა და ჩქარა უკან დაბრუნდება ღამაშ ცოლიანათო.

სადილმა მზიარულათ ჩაიარა, ბეკრკელ დალი

ეს სმბატას საღვრებელი და გულწრფელი დაუ-
ლოცეს გზა. მოახლოვდა წასვლის საათი. გასაპამ
ნივთები წაიღო ფისტის სტანკაში. სმბატა დედას-
თან ჩაჯდა ეტლიში და წაიღო, მათ უკან გაჰყვენ ნა-
თესავეებიც. საშინელი სტელია... — რომსიმე ხშირ
ხშირათ იწმენდა შუბლზე ოვლს და თანაც ღრმით
ოხრავდა... სტანკაზე დედამ დიდი ყურადღებით გა-
შინჯა ის ეტლი, რომელსაც მისი შვილი უნდა წაე-
ყენა; ძალიან შეწუხდა რომ სმბატა ადოთხივე მზრი-
დან ღია ეტლიში უნდა ჩაჰდარაიყო, მერე ვინ იცის,
რა ხალხთან ერთათ, ხმა მაღლა კი არაფერი უთქ-
ვამს, კიდევ მოიწონა და შვილს უთხრა, კარგია
რომ დახურული ეტლის ბილეთი არ ავიღია ამ
სიტყეში.

მოახლოვდა გამოთხოვების საშინელი წამი.
მეეტლემ წამსვლელებს გამოუტყადა, ენაში ჩაძან-
დანი. სმბატა გადაეხედა დედას და დედა-შვილი დიდ-
ხანს არ მოშორებიან ერთმანეთს. ნათესაების რი-
გიც მოვიდა სმბატასთან გამოთხოვების.

ყველა დედაკაცებმა ტირილი დაიწყეს, გარდა ..
რომსიმეისი. ის აუშულოთებლათ იღიმებოდა...

მეეტლემ სმბატა ააქაზა. ყმწვილი კაცი ჩაჯდა
ერთ რუსის დედაკაც და ერთ მოხუც ურიასა
შუა; ურია ცდილობდა მეგობრული ნიშნები ეჩე-
ნებინა თავის თანამგზავრისთვის. მეეტლემ ცხენების
ადგილები ხელში მოიძარჯვა და კონდუქტორმა თა-
ვის ბუკი დაუტოვა. ცხენები დაიძირნ. სმბატამ ქუდი
მოიხიდა, რომ უკანასკნელათ გამოშვილობებოდა დე-
დას, რომელიც გაუნძრევლათ იღვა იმეე ალაგას
ეტლთან.

— შვილობით, — ტყბილი ღიმილით უთხრა მო-
ხუცმა ურიას ეტლის გარშემო მყოფ ხალხს, რომ
მეეტლიც მისი არც ნათესავეი, არც მოკეთე და არც
ნაცნობი არ ერთა.

ამდროს გაისმა ერთი საშინელი, გულააკლევი
ღრილი, რომელიც ყასბის დანის ქვეშ სასოწარ-
კეთილი იყო ჩის ბუაილის მოაკონება ადამიანს და
რალაც შვიი საგანი გაიშლართა დედამიწაზე სწორეთ
ეტლის წინ. ცხენები დაფხუნ, მარჯვენა ცხენმა კი-
ნალამ ფეხი დაადგა ძირს გაშლართულ ადამიანს
მკერდზე.

ყველა შეერთა და ჩითყენ მიპაპრო თვალე-
ბი. მეეტლეს მკრათ ეჭირა ხელში ცხენების აღვი-
რი. შემკრთაბმა სმბატამ ძირს დახედა... და მაშინ-
ვე მიხედა, რაშიაც იყო საქმე. დედამიწაზე, მის
ფეხქვეშ, მტვერში ევლო დედა მიისს უსულთ სხეუ-
ლი, ერთი დიდი შავი ნაფლეთიეთ. სმბატა სწრა-
ფათ გადმოხტა ეტლიდან, ფერ დაკარგული კანკა-
ლით მგარდა დედას, სტაკა მკლავში ხელი და შეჰ-
ყვირა:

— დელოო! ჩემო დელოო!..

დედა არ ინძროდა, სიცოცხლის ნატამლიც
არ ეტყობოდა მის გამზდარ, ნაცირსფერ სახეს. ნათე-
საებები მიეშველენ სმბატას, ასწიეს რომსიმეს უსულო
გვამი და ბალკონზე დადეს, სადაც ერთმა მგზავრთა-
განმა მუკით წყალი მოიტანა და დაუწყო რომსიმეს
პირზე სხურება. ატყდა საშინელი ალიაქოთი, ნათე-

საგმა დედაკაცებმა საშინელი წივილი-კივილი შეჰქმ-
ნეს. რომსიმეს და ხმა მაღლა მოსთქვამდა, ასე ეგო-
ნა, რომსიმემ სული განუტყვეოა. მკარამ ციგმა წყალ-
მა გაველოდა იქონია რომსიმეზე და გულწასულმა ნელ-
ნელა ასწია თვალბის ქუთუთოებში... შვილის სახე-
ლის წარმოთქმის უმალ ისეე დადუმდა და გულ წა-
სული დაცა სმბატას კალთაში.

— ბატონო, უცკრავათ, ჩვენ არ შეგვიძლიან
დაცა, — მოესმა სმბატას მეეტლეს ხმა.

მართლაც ეტლს არ შეეძლო დაცა, მგზავრე-
ბი უკვე იმდურებოდენ. აქ კი ჯერ უსულოსავეთ
გედლა საცოდავი დედა.

სმბატა გადაწყვეტით მიუბრუნდა მეეტლეს.


— ჩემი ნივთები გადმოაწყვეთ ეტლიდან...
რომსიმე სრულიად გონზე მოვიდა. იგი ეტლიში
ჩასვიდა და შინ წაიყენა. გზაზე სულ ამას იჩეე და:
— ნუ წახვალ, ნუ წახვალო!..

სმბატამ მოკლეთ უპასუხა. — როკარ შემიძლია
წასვლაო!..

მერე პირი მიბარუნა, რომ დეამალა დედისთვის
თვალბზე მომდგარა ცრემლები და ნელი ხმით
თავის თავისთვის მწუხარეთ წილაპარაკ

— ამ ძვირფასი ბორკილის დამსხვრევა შეუძ-
ლებელიაო...

და ტყბ-დავითიანცო.



შეხვედრის მასწავლებელი

№ 39. ფაზანვა და სკანდაინა.

დაბეჭდილი იყო	—	—	—	ტრასკეპი.
უნდა იყოს	—	—	—	ტრასკეპი.
დაბეჭდილი იყო	—	—	—	უგუბი.
უნდა იყოს	—	—	—	უგუბი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

Вышла въ свѣтъ и проглетя во всѣхъ извѣстныхъ
книжныхъ магазинахъ новая книга

ЮРІЯ КАЗИ-БЕКА.

„ВСЕГО ПОНЕМНОГУ“

ОЧЕРКИ И РАЗСКАЗЫ

Издание Іасе Рачвели

Цена 1 руб., съ пер. 1 руб. 25 коп.

Выписывающие изъ склада, С.-Петербургъ Екатеринин-
ская ул. д. № 6 — А. В. Лефевьеръ, за пересылку не
платить.